

დამახასიათებელია, რომ თბილისის სავაჭროების ზოგიერთი მომწოდებელი, როცა მას ზომი-  
წონის თაღლითობაში დაიჭერენ, თავს იმით იმართლებს, რომ დაბადი განათლება აქვს... და-  
მახასიათებელია ისიც, რომ ასეთ მუშაკებს „შეცდომა“ ყოველთვის თავის სასარგებლოდ  
მოსდით.

ქართული  
ზინური თეატრი




1. იგი თითქოს არ იყო მაღალი განათლების...  
მაგრამ შეხანიშნავად იცოდა „წონახწირობის კანონი“.



2. იგი თითქოს არ იყო მაღალი განათლების...  
მაგრამ კარგად იცნობდა „მასალათა ჰიმვადობის კანონს“.



3. იგი თითქოს არ იყო მაღალი განათლების...  
მაგრამ გატაცებული იყო „ზედმეტი ღირებულების კანონით“.




4. და აი, ბოლოს, ამდენი კანონების მცოდნე კაცი  
წააწყდა ხალხის მტკიცე კანონს...

ა. კანდელაკისა

მწიგნობარული მუშაობა

ნ ი ა ნ ბ ი





ვინ არ იცნობს ჩან კაი-შის წელგათრეულ ძუნძულს,  
მატერიკი დაეკარგა, მიაშურა კუნძულს!  
სათათბიროდ მიუფრინდა. ღი სინ მანი ახლა,  
უფროსების შიშით არ სურს დაიმჩნიოს დაღლა, —  
მაგრამ რიხხვა კვლავ აჩნია ღი სინ მანის წელხაც, —  
რა ხიკეთეც შარშან ნახა, მას მიიღებს წელხაც...

დელი-ოდინაგაჰი

ინგლისში „ქრისტეს შობის“ დღესასწაულზე მოახლოვდა. და რაკი ინგლისის მოქალაქე ტრადიციის მიმდევარია, ზოგ ოჯახში თუ კბილებდაკრეკილი გოჭი ყოველგვარი ზრუნვის გარეშე აშიშხინდება, ზოგის ქონებაში ქრისტეს ტირილია: ორიოდე ჭიქა ვისკისა და შემწვარი კარტოფილის ზოგნა მაინც არის ამ დღისთვის საჭირო.

ქონის პატრონი, „იღბალმა“ თუ გაუპართლა, რაიმეს იშოვის, მაგრამ ინგლისში ისეთი ადამიანიც საკმაოდ მოიპოვება, რომელიც ქონზე ცოტა უკაცრავად არის და ამის გამო გოჭის შებრაწვისა თუ ვისკის შეძენის საკითხი მისთვის მოხსნილია მექანიკურად.

ერთი ასეთი უქონმახო და უთვისტომო ადამიანთაგანი გახლავთ ინგლისელი, პორტ-ტოლბოტის მოქალაქე რიჩარდ გრეი.

რიჩარდის წინაშე ვეებერთელა კითხვითი ნიშანი დასკუბდა საშობაო დღესასწაულის მოახლოების გამო. რა ქნას? სად გაითენოს ეს ტრადიციული დღესასწაული? რით შეეგებოს მას? ამ საკითხზე ყველაზე მეტად მაშინ დაფიქრდა, როცა ქალაქში უსაქმოდ მოხეტიალე, ერთ-ერთი მალაზიის ვიტრინამ მიიზიდა.

უყურა ვიტრინას რიჩარდ გრეიმ, იფიქრა, უყურა, იფიქრა და:

- ევრიკა! — წამოიძახა მან.
- „ევრიკა“, მოგეხსენებათ, აღმოჩენას ნიშნავს და რიჩარდ გრეის აღმოჩენა შემდეგში მდგომარეობდა: მან ახლომახლო მოძებნა ვეებერთელა აგური, დაუმიზნა ვიტრინას და სწრაფი მოქნევით მინები ძირს ჩამოაღაგა.
- რიჩარდ გრეის მიზანი, როგორც თვითონვე გამოტყდა, ვიტრინიდან საქონლის გატაცება არ ყოფილა.
- მაშ რატომ ამსხვრედით ვიტრინას? — შეეკითხა გრეის პორტ-ტოლბოტელი მოსამართლე.
- მოგეხსენებათ, სერ, ვიტრინის ჩამსხვრევა დანაშაულია.
- მართალია, დანაშაულია.
- დანაშაულისათვის ადამიანს ციხეში სვამთ.
- შენც ჩაგსვამთ...
- ჩემი მიზანიც სწორედ ეგ გახლავთ, სერ.
- ?! ?!

— დიახ, სერ, რატომ გაგიკვირდათ! მოგეხსენებათ, რომ საშობაო დღესასწაული ახლოვდება. სად უნდა შეხვდეს ჩემი-სთანა ბოგანო უმუშევარი ამ ბედნიერ დღეს? ქუჩაში? არა, სერ, არც ისეთი სულელი გახლავართ. ციხეში ერთი ლუქმა პური მაინც მექნება, ბინაზე რომ არაფერი ვთქვათ.

პორტ-ტოლბოტის სასამართლომ დააკმაყოფილა რიჩარდ გრეის სურვილი: ორი თვის პატიმრობა მიუსაჯა.

ჩვენს მკითხველს ეს შემთხვევა, რასაკვირველია, უცნაურად მოეჩვენება, მაგრამ რეიტერის სააგენტო თავგამოდებით ამტკიცებს, რომ რიჩარდ გრეისათვის ეს პირველი შემთხვევა არ არის. იგი, თურმე, ამ ხერხით უკვე მეორეოცდათორმეტჯერ ატარებს ციხეში ასეთ „დღესასწაულს“.





როცა ბენომ მომხმარებელს თხუთმეტიოდე გრამი დააკლო, მის წინააღმდეგ სავაჭროს ყველა თანამშრომელი აღსდგა... აღშფოთდა!..

ხოლო როდესაც ბენომ მომხმარებელს თხუთმეტის ნაცვლად ხუთას გრამზე მეტი დააკლო, სავაჭროს ყველა თანამშრომელი თავდადებით გამოექომაგა...

ვეტექიმი სამუშაოს დაქმნა

სერგო ივანეს-ძე ქემაშვილი ოთხი წელი ზემომარხაანის ზოოვეტუბნის ვეტექიმად მუშაობდა. საქმე უყვარდა. ვეტერი-ნარული ექიმობის თოთხმეტი წლის პრაქტიკა ჰქონდა, მაგრამ ერთი რამ არ იცოდა: არ იცოდა რომ ენაზე მომდგარი სიტყვა ყოველთვის როდი ითქმება. ენა კი მწარე ჰქონდა ქემაშვილს, კაცს სიტყვას არ შეარჩენდა. ამის გამო დრო უპოვნეს, უმარ-თებულოდ შარი მოსდეს და მოხსნეს. წითელწყაროს სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამმართველოს მაშინდელმა ლფროსმა ირაკლი ზედგინიძემ მიმდინარე წლის 5 აგვისტოს 191 ნომერი ბრძანებით ქემაშვილი მოხსნა, „როგორც თავის საქმისათვის შეუფერებელი“, ხოლო ქემაშვილი რომ დაემშვი-დებინა, ზედგინიძემ თავისი ხელით შრომის წიგნაკში ასე ჩაუწერა: „ამონაწერი ბრძანება № 191-დან, 1953 წ. 5 აგვის-ტო. ქემაშვილი განთავისუფლებულია სამუშაოდან, თანახმად თავისი განცხადებისა“.

ქემაშვილი არცთუ ისე გულუბრყვილო იყო, რომ ასე-თი საკენკით დაკმაყოფილებულიყო. ადგა და რაკი რაიონში ყურადღება არ მიაქციეს, თავისი ამბავი სამინისტროს შესჩივ-ლა. სამინისტრომ ქემაშვილის საქმის გამორკვევა მეცხოვე-ლეობის მთავარი სამმართველოს საჯიშე საქმის განყოფილე-ბის უფროსს შ. შარაშიძეს მიანდო. შეშინდა ზედგინიძე და

მეტი რომ ვერაფერი მოახერხა, ადგა და აგვისტოს თვეში ზემომარხაანის ზოოვეტუბნის ვეტექიმობიდან მოხსნილი ქემა-შვილი, სამუშაოდ ოქტომბერში კვლავ ზემომარხაანში გააგზავნა. სამინისტროს ხელმძღვანელი კადრების სამმართველომ საგზუ-რიც გამოსწერა, მაგრამ... ზედგინიძეს ერთი „პატარა“ დეტა-ლი გამორჩენოდა, დაეიწყებოდა, რომ მოხსნილ ქემაშვილის ადგილას მას ბრძანებით ვეტექიმი ჯალიაშვილი დაენიშნა.

ზემდგომი ორგანოების დადგენილებით, მალე სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა რაიონული სამმართველოები გაუქმდება. ზედგინიძის ყოველგვარ ბრძანებასა და მიმართვას ყოველგვარი ძალა ეკარგება. ზემომარხაანის ვეტუბანი შირაქის მტს-მა ჩაიბარა, რომელმაც ქემაშვილის საქმისა არაფერი იცის.

ხოლო ვეტექიმი ქემაშვილი, ორი პატარა შვილისა და ავადმყოფი ცოლის პატრონი, ისეთი სპეციალისტი, რომელიც ასე სჭირდება ჩვენს სოფელს, დღესდღეობით უსაქმოდ დადის ზემომარხაანიდან წითელწყაროში, წითელწყაროდან თბილისში, თბილისიდან უკან... დადის და სამართალს დაეძებს.

8. სიმონიძე





ნ.ს. ა. ფირცხალავას

— რაბა მკვდრებს, ცივი ხარო რად მინდა!  
 — ხაღად მიხვდი, ბატონო, რომ ხარო ცივა?  
 — ცივი რომ არ იყავი, აგერ არხინად თათებს შვებ ვერ ჩააწყობდა.

**ხაგლა მართალი მაგულანგველი**

ამას წინათ ისეთი შემთხვევა მოხდა, როცა დიდი თანხის გამწვანველი ცაშიდ მართალი იყო.

„საქტანსაცემლის“ № 1 მაღაზიაში რევიზია ჩაატარეს. სექციის გამგეს გოგიბერიძეს 6,000 მან. დანაკლესი აღმოაჩნდა.

— არა ხართ მართალი, — შეიტხდა გოგიბერიძემ, — რის ეჭვისათვის, რა ეჭვისათვის, ანერაში არ გტოვნიანთ, მგობრებო!

რევიზორები ნაშეილა დაბეჭდნენ, ვითურ სწორი არა ვართო და თქმა არ გააფორმეს. გოგიბერიძე თავისუფლად გზავს, მაგრამ მაინც არ იშვერება:

— გაგვიბათ, ხალხო! ეჭვისათვის გთავაზობთ! რა ეჭვისათვის, რის ეჭვისათვის! ნაგურს გვეუცებთო, რევიზორებმა ათამდე თელავს არ იტყვენ.

ცოტა ხნის შემდეგ ხაგლა რევიზიამ შეამოწმა „გოგიბერიძის“ მაღაზია, კაცინ ვართ, იქნებ შართო სტუკუნდნენ ის რევიზორები და გოგიბერიძე ცაშიდ მართალია.

შეამოწმა და გოგიბერიძე ცაშიდ მართალი გამოდგა, მას 6,000 მანეთის განუხლებო კი არ აღმოაჩნდა, არამედ — 44,000 მანეთის.

მას არ უნდა დაეჯერებინათ გოგიბერიძისათვის?

**სკაზი საყუარეისა**

ფრის მარცხენა ნაპირის „თბილისის“ № 67 მაღაზიის გამწვანველი მარტაშვილის რევიზია ესტუმრა. მასილი ისე დაიბნა მოულოდნელი სტაბის მოსვლით, რომ საჭინლის მიტ-მოლაგება ვერ მოახერხა და უწინათელი გახდა, რომ მაღაზიაში 9 კერაში უფაქტურო ძეხვი და 4 კერაში ასეთივე ყველი იყყო.


ჩემი საყუარეო, — უთხრა რევიზორს მარტაშვილმა.

ჩემოდელ მგის გამო დაგსვით! — დატრენ რევიზორები. მაგრამ ის უფაქტურო ძეხვი იაფფასიანი გამო, შედგენილი აქტი პროკურატურის ხსენებული ვაჭრობის დირექტის ან. გეტაშვილს გადავხავე.

გეტაშვილმა აიღო, დაილო და... მამვილს საყვედრო გამოუცხადა.

გოგო, ყვანის მცოდნე აღმაინს მორება, მგავს დანაშაულზე მსჯავის სკალი. მხოლოდ ხუმრობაა. ან, გეტაშვილს კი ხუმრობა არ უცდარს, მას ასეცაქვია! რატომ უსაყვედურო მარტაშვილს ჩემს, რასაკვირვებო, ვერა ვიტყვით. „მხოლოდ ვაჭრობა“ მარტაშვილზე მარტაშვილს, რომ ჩოგამიფილდეს რაღაცა 9 კოლოგამი ძეხვი და 4 კოლოგამი ყველის მოვლა შეუძლია, უსათუოდ საყვედურის ღირს.

„თბილისის მაღაზიაში“ საჭინო გეტაშვილს ასრულებს ვაჭრობის რევიზორები, მაგრამ გეტაშვილს ვაჭრობის რევიზორები უწინათელი პროდუქციით, არამედ „დახმარე“ პროდუქციით: ლუდით, ლაშინითა და ხორცულად.



— ამ ხაგურაში დხეული შემოვსულვარ, მთვრალი ვაგსულვარ, მაგრამ კომზობტო, ბოლოკი და კარტოვლი იწვითად მინახავს... ის დღეა-კაცო კი ბოხტუნულს კითხულობს, ვახ, კომზობტოს და ბოლოკის ლული ვაგონილა!

**რეპარაციის მყიდველი**

ხარატიშვილს, კიროვის სახელობის ხარატიშვილის მუშის, ქულის ყიდვა მოუწია. რაღა შორს წავიდო, გაიფორმა და სა-მუშაოს დამთავრების შემდეგ საბჭოს ქ. № 216 მდებარე თბილენიერამილის № 4 ფოლალიში შევიდა. როდის იყო, რომ ჩვენი მაღაზიებში ქულები ასარჩევად იყყო? ხარატიშვილმა პირველ მიხედვრად ქულის ხელი წააგვო და თავზე მოიარა. იქვე მაღაზიაში გაყიდვითი ისრაელიანი და მისი ვაჭი-შვილი იღვწენ. ვაჭმა მამას თვალ ჩა-ტყრა, ხარატიშვილიან მივიდა და მის-თვის უქნობ მოქალაქეს დატყვევით მი-პართა:

— ეს ქული შენ ისე გიბღება, რო-გორც აქლებს გლოიაში ჯდომბო, მაგრამ ხარატიშვილს აქლებს გული როდის აღმოაჩნდა და ტყუილბრალოდ შეურაცხყოფისათვის უმტროს ისრაელი-ანს სათანადო პასუხი ვასცა.

**მთიანის რიბა**



ნ.ს. დამასა

თიანის როკორა შეედრება ლია, მეორი და მარცხ რიბოლ ათვარი შესაქნად მოიარა ათვარი რიბა.

და თბილისში გასასყიდად დარიგა... და ამრიგდ ღწენი ბაზოა ვურგების მაღაზიაში იქნა რიბა!

**შესაპისა და მოძრაის ახვაპი**

სამხედრო ვაჭრობის თბილისის გან-ყოფილება კალერის ნაკლებობის გა-ნიცილია და რომ არ გადარებოდა ისე-თი სიმეჭ ჩაიღინა.

მოვლად ხსენებული სავაჭრო ორგანი-ზაციის ხაში იუსუბოვი და თქვა:

— გეტაშვილს, ვაჭრობა ჩემი, სა-ჭინელი თქვენი, პროკურატურის ვაჭარ-ბება ჩემი, დაწერეს ბრძანება და ხაში იუსუბოვის მოძრაი სავაჭრო წერტი ჩააბარეს. შე-მ-დგ კი:

— სად გიმუშავაო! — ზრდილობის გულსთვის ჰკითხეს იუსუბოვი.

— აი, ჩემი საბუთი! — თქვა ხაშიმა და კალენის რაინის სახნიო საშარათე-ლოდან, მისი აქ მუშად მუშაობის შე-სახებ გაცემული ყაღბი ცნობა დაახებო.

— სავაჭრო ორგანიზაციის თუ შე-შობილია.

— როგორ არა, მაგრამ ძველ ამბავს ხატომ მივითხებით, კიდევც დამა-კისყულია.

სამხედროებულმა ზრდილობის გუ-ლისთვის მიწერეს იმ სავაჭრო ორგანი-ზაციას, სადაც იუსუბოვი ძველად მუ-შაობდა და იქ თალთობის გულის-თვის საბრძანებლო სკაზი დასკუდა.

მიწერეს წერილი სამხედროებულმა, შეგატყობინეთ რა კაცი იყო ხაში, რას აკეთებდაო და „არსიდან ხმა, არსით ძახილი“ არ ვაგვინიათ.

ხაში მოძრაობდა, ვაჭრობდა და მანეთის რომ სამხედროებისას ყიდა, თუნენის თვის საკუთარს ასაღებდა. ასაღებდა მანამდე, სანამ შემთხვევით მისულმა რევიზიამ 44 წყვილი უფაქტუ-რო ხალა-შარავალი არ აღმოაჩინა და ამასთან ერთად არ გამოარკვია, რომ გაყიდვითი ხაში იუსუბოვი მსჯავის მქ-მიანობის გამო უკვე ბრძანდებოდა უქრავ დღემარტობაში და ამნისტიამ უშველა.

— ხაში ვაჭარო მოძრაობა ხაშიმა უქრავი ხელმძღვანელები.



# სომხები & ქინქლა

იგაგო



არწივმა თავის ნისკარტზე ერთხელ შენიშნა ქინქლა და გაუკვირდა.  
 — რა გიკვირს, ძმაო, — მიუგო ქინქლამ, — ვარსკვლავთან ასვდა, რა ვქნა, მეც მიხდა! მსურს ვინავარდო ცის კაბადონზე, შენსავით დაღად მეც მიყვარს ფრენა. — არწივმა ღიმილს დახედა ქინქლას, თუმც ეტყობოდა მცირედი წყენა, უთხრა: — ვინც სხვისი იმედით ფრინავს და მხოლოდ სხვისი ფრთები აქვს ფრთებად, რაც უნდა მაღლა აფრინდეს, — ბოლოს უთუოდ დაბდა ჩამოვარდება.

თარგმანი სომხურიდან  
კ. გოგიაშვილი

## გულაშენარი თავგადასავალი

ერთ დღეს თბილისელების № 4 ფილიალის გამყიდველთან სომხიშვილთან მოქალაქე მირზოევი მივიდა და დახლზე დადებული მამაკაცის ფეხსაცმლის ფასი ჰკითხა. რადგან მათ ახლოს არავინ იდგა, სომხიშვილმა 93 მანეთად და 60 კაპ. ღირებული ფეხსაცმელი 149 მანეთად დააფასა. დააფასა და სირცხვილისაგან თვალის კი არ დაახამხამა. მირზოევი ფეხსაცმელი მოეწონა და 149 მანეთი გადაიხადა, მაგრამ იმ წუთშივე ფეხსაცმლის ნამდვილი ფასი გაიგო და წამგლეჯი სომხიშვილის ამბავი უნივერსიტეტის დირექციას უამბო. ახლა კი სომხიშვილმა თვალის აახამხამა, ცრემლიც გადმოჰყარა, მაგრამ არაფერმა არ უშველა, იგი სამსახურიდან მოხსნეს.

სომხიშვილი როდი შეკრთა, თავი მოისაწყლა, უდანაშაულოდ დასჯილის იერი მიიღო და ვაჭრობის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. გეგეშიძეს თავი შეაცოცხლა. მისი დასტურით ლენინის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარესთან ამხ. წერუაშვილთან თვალის ხამხამსაც უმატა და ცრემლიც ბლომად გადმოიღინა. ამის შემყურე ადამიანს ქვა გული უნდა ჰქონოდა, რომ სომხიშვილი არ გაემართლებინა.  
 ახლა სომხიშვილი უნივერსიტეტის დახლთან თავს არხინად გრძნობს. ღიმილით თვალს ახამხამებს და უხარია, რომ ასე იოლად გააცურა გულუბრყვილო და გულდამწვარი თავმჯდომარეები.

მ. ალანია

## კვლევა კარ. მორი. მნახი!

ძვირფასო ნიანგო, ძლიერ დავხარალდი, თორემ არც ვაპირებდი თქვენს გაცნობას. ორჯონიძის რაიონში, გოგებაშვილის ქუჩაზე 10 ნომერში ვცხოვრობ. მთელი ზაფხული არ მოგვასვენებს წყალსადენის მუშაკებმა. ისე დავხელოვნდით, რომ არა გვეონია ხტომაში რომელიმე რაიონმა გვაჯობოს. არხი გათხარეს, მიღები ჩაჰყარეს, ქუჩაც „გააკეთეს“, მაგრამ ვაი ამ „გაკეთებას“. ჩაწყობილი მიღების გასწვრივ მიწამ ისე ჩაიწია, რომ თუ მარჯვედ არა ხარ, ფეხთან ერთად ცხვირ-პირსაც მოიტეხ. ეს კიდევ არაფერი. ჩვენ თუ არ გვიცოდებენ, ამ შენ მეგობარ მწერლებს რაღას ერჩიან? ჯერ გოგებაშვილის, შემდეგ ბარნოვის, ახლა კიდევ ბელინსკის ქუჩა ისეა გადათხრილი, გეგონება არქეოლოგიური გათხრები წარმოებსო. ჰოდა, ამ გათხრების მსხვერპლი გახდა ბევრი შეზარხოშებული ყმაწვილი. ახია მათზე, მაგრამ მე რა დავაშავე, არ ვიცი.

სრულიად ფხიზელმა, ღამით, თხრილში ჩავარდნისას ფეხი ისე დავკარი გრძელ მილს, რომ თქვენს მტერს! და ახლა სასწრაფო დახმარების საავადმყოფოში ვწევარ, ფეხი თაბაშირში მაქვს ჩადებული და წყალსადენის მმართველების „ქების“ მეტს აღარაფერს ვაკეთებ. თუ არა გჯერა, რომ ავად ვარ, მოდი, მნახე და დარწმუნდები, არა და მომავალი წლის გაზაფხულზე თვითონ გნახავ. ღვთის წყალობით, თუ კარგად გავხდები, (ვიცი, მანამდე გზას მაინც არ გააკეთებენ!) სამალარიოს გადავიხდი, რომ ამ ზამთარში სამთვინი დასვენება მომიწყეს... ბოდიში შეწუხებისათვის. სხვა მხრივ კარგად ბრძანდებოდეთ.  
 პატივისცემით **დომენტი ახალაძე**  
 სასწრაფო დახმარების საავადმყოფო.  
**მინაწერი:**  
 იოლად გადარჩენილხარ! მე, 25 ნომერს, თხრილში, ფეხი კი არა, გვერდებიც დავიღწე.  
 თვითმცლელი მანქანა № 51-58.

## საუბრის ჯდენის გამო

ის იყო ნაცნობთან უნდა შეესულიყავი, რომ მოულოდნელად დამატყდა თავზე უბედურება: შესასვლელში შევიწინებულ ბოძებს ღამის სიბნელეში ვერ შევხედე და პირდაპირ თავით დავეჯახე.  
 — ვაიმე, — დავიღრიალე, მინდოდა კიდევ მეყვირა, მაგრამ იქვე მდგომმა, სტალინის რაიონის საბინაო სამმართველოს ინჟინერმა — გიორგი გორდელაძემ შემომიტია:  
 — გაჩუმიდი, კაცო, რა გაღრიალებს, ვგ ბოძები ერთი წელია ეგრეა, ხალხი ყოველდღიურად ეჯახება, მაგრამ ისინი ვაჟკაცურად უძლებენ, შენ კი რალაც ერთხელ დავეჯახე და ღამის ქვეყანა დააქციო... ჩუმიად-მეთქი!  
 — გლახაკი ყოფილხარ და მეტი არაფერი! — მომძახა იქვე მდგომმა სახლის მმართველმა იონოვმა და გულიანადაც გადაიხარხარა.  
 ჩემს ყვირილზე სანებლიძის ოჯახი გამოვარდა, ოთახში შემათრის და შუბლზე დამჯდარ კოპებზე სველი ტილო დამადეს.  
 — რა მოგივიდა, კაცო!  
 — რაღა რა მომივიდა, შემოსასვლელში შეყუდებულ ბოძებს დავეჯახე. რა ამბავია, ამ ხნის განმავლობაში სასახლეებს ააშენებდა კაცი, რა ვახდა ამ თქვენი სახლის რემონტი? — ვთქვი და კედლებს გადავხედე, რომლებსაც საბინაო სამმართველოს ზოგიერთი მუშაკით დაედო პირი.  
 — რას გეუბნებიან, მალე გავაკეთებთო? — ვიკითხე.  
 ჩემ შეკითხვაზე მეგობარმა კედელზე მიკრულ ქალღღმზე მიმითითა და მითხრა:  
 — ჯერჯერობით რეზოლუციანი ქალღღმით ვამაგრებთ ბზარებს.  
 თავზე ხელშემოდებული მივუახლოვდი კედელს და ღუმელთან ბზარებზე გადაკრულ ქალღღმზე ამოვიკითხე:  
 „საბინაო სამმართველოს უფროსს ამხ. ნუტუბიძეს. ასლი მოქ. სანებლიძეს. მცხ. პლენანოვის პრ. № 130.  
 პლენანოვის პრ. № 130 სახლის საფუძვლის ჯდენის გამო ავარიულ მდგომარეობაშია საერთო შესასვლელის და სხვა კარ-ფანჯრების ზღუდარები. დაჩქარეთ დასკვნითი გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარება. სტალინის რაიონის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე და კომ. განყ. გამგე სურნავა. მთ. ინჟინერი ტონია. 1953 წ. 31 ოქტომბერი“.  
 — ამ მომართვით აპირებ ოთახის ნგრევის შეჩერებას?! — ვკითხე გაცეზულმა და თავზე ხელი წავივლე.  
 — შენ, ძმაო, იოლად გადარჩი, მე უარესი მომელის. ამ სახლს ალბათ მანამ არ გააკეთებენ, ვიდრე მე თვითონ „ჯდენს“ არ მოვადენ ქვედა სართულში მდებარე მალაზიაში, — მითხრა მან და უიმედოდ ჩაიქნია ხელი!

კ. ბელატივი





ორჯონიძის რაიონის სოფ. საღანძლის კოლმეურნეობის მესვეურთა წინდაუხედაობის გამო, 200 ხული თხა უბინაოდ დარჩა. როცა ბოხელში პირუტყვის შეშვება იწყება, როგორც ამ სურათზეა ნაჩვენები, უბინაო თხები ხარ-კამეჩს ახწრებენ და საუკეთესო ადგილებს იკავებენ. „რად უნდა თხას ბინის აშენება, ბოხელში ვინ შეახწრებს“, ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე. „მაშინ ხარ-კამეჩისათვის მაინც უნდა აგვეშენებინა საზამთრო ბინაო“, ეუბნებიან ხარევიზიო კომისიის წევრები. თავმჯდომარე კი მხედველობიდან უშვებს ფიზიკის უბრალო კანონს და გაიძახის: „როგორ თუ ხარ-კამეჩისთვის უნდა აგვეშენებინა, ხარ-კამეჩს ხომ უკვე ავუშენეთ საზამთრო ბინებიო“...

თხები, რასაკვირველია, მათ საუბარს ყურადღებას არ აქცევენ და რაკი ჭკუასთან მწყრალად არ არიან, ყოველთვის ფიცხელ ღონისძიებას ატარებენ ბინაში საუკეთესო ადგილების დასაკავებლად.

## ერევნისაკენ მიმავალ გზაზე

მიჰქრის ავტო. გრილი ქარი  
უბეს მიხსნის უხილავი  
ხელებით,  
ერევნისკენ მივიჩქარით  
სტუმრად თბილისელები.  
წინ მიგვიძღვის შუქი მზისა,  
დაე, ღექსიც მზის სხივებმა  
მოფეროს!..  
დრო დამდგარა სამხრობისა,  
— გააჩერე, შოფერო!  
მწყურვად ავტოს გუდი უძგერს,  
თითქოს სურბე მივასწარ,  
გზის ნაპირას ბროლის წყარო  
შეუნიშნავს  
წინასწარ.  
სუფრასა ვმდით და რა სუფრას,  
კადმახებით დახატულს.  
სუფრის თავზე ცაცხვი სუნთქავს,  
უხარია ნაკადულს!  
— გაუმარჯოს მოძმე სომხეთს!—  
ვილოცებით ჩაციებულ „არაქსით“,  
მის მტერს გუდში ტყვია მოხვდეს,  
არც იხაროს არასგზით.  
ხადხიც, მიწაც ხარობს დაღად, —  
აქ სიკვდილი აბა, როგორ მობედავს...  
გავიხედეთ წყაროს გაღმა,  
გზაზე შედგა „პობედა“.  
გადმოვიდა დინჯად ქაღი,  
მგზავრია თუ მძლოდი არი...  
უხელებოდა ადვის ტანი  
და შარვადი ზოლიანი.

— გამარჯობათ!—გადმოგვძახა,  
გზა ხომ ერთი არ გვექნება?—  
— ერევნისკენ?  
— ერევნისკენ!  
თავს პატიყის დავრთეთ ნება.  
მოპატიყე შუამავდაე  
გამაგზავნეს ერთი ვაყი...  
მეც სუფრაზე მოვიწვიე  
სტუმრად მთელი ეკიპაყი:  
თვითონ მძლოდი, ერთი კაცი  
და შავთვალა ქალიშვილი.  
წყაროს ტალღას ნაზად ვარცხნის  
ფრთაფარფალა სიო გრილი;  
გადმოვიდა წყარზე კაცი,  
გადმოფრინდა ქალიშვილი.  
წყაროს პირზე შედგა მძლოდი  
და მშვიდდევით შეიმართა,  
რაინდულმა სუდმა მძლია  
და წამშივე გავრინდი ქალთან.  
შუა წყარში შევდექე ქვაზე,  
გავუნოდე ორივე ხელი,  
მაგრამ ფეხი აძიცურდა  
თვით სახსნეღი შევიქმენი.  
წყარში ზურგით გადავევი,  
მკერდზე შემდგა ბროლის წყარი,  
ვაი სირცხვიღს... მუხლებამდე  
შემოვიდა წყარში ქაღი.  
რაინდს ქაღმა მირაინდა...  
რალა მეოქმის...  
მეტი არა ვიცი რა...  
ქაღის გვერდზე ვიდექე როგორც  
განუწული წინიღა.

კაცი ვდნები სირცხვიღით,  
წყარო კვდება სიციღით,  
ქაღმაც ბევრი იცინა,  
მზეზე დავჯექე გულგამწყრადი  
ჩემს თავთან და წყაროსთანა.  
სუფრის თავში დადგა ქაღი  
და სასმისიც გამოსცალა—  
თქვა იმ ბარის და ამ მთისა  
და სამგორის აქო ვეღიც,  
— ქაღი აზერბაიჯანისა,  
ექიმი ვარ, ბაქოელი.  
გადეხატა ექიმს თვაღი,  
თბიღი ღიმის არშიითა,  
— სტუმრად მივად საკუთარი  
„პობეღით“ და ქმარ-შვიღითა.  
მეგობრებო, მეც თქვეწსავით  
ერევნისკენ მოვიჩქარო!..  
ეჰ, შერცხვენინდ მოპატიყეს  
თვით მპატიყობს მძლოღის ქმარი...  
ითქვა ერთი, ითქვა ორი,  
სიტყვა არვინ დავიზარეთ,  
მერე კიდეც ავიშაღეთ  
და სამგზავროდ დავიძარით.  
— გზა მშვიღობის!—მოგვძახიან  
ირგვიღე მდგარი ჭმუხი მთანი,  
მივდივართ და მიგვეღიან  
სევანი და ერევანი.  
ხარობს თვაღი, ხარობს გუღი,  
შეგვეცინიან მთის ყვავიღნი  
ციმციმიღით,  
გზა კრიადებს მოსარკუღი,  
წყარო კვდება სიციღით.

თ. ჯანფულაშვილი





ნაბ. გ. ლომიძისა

თურქი ჯარისკაცი, ამერიკელების გამოთქმით, ყველაზე იაფი ჯარისკაცია, და აი, როგორც გახეთ „ბიურიეტი“-ს კორესპონდენტი იტყობინება, მათ აგროვებენ ქალაქ სეფერისისარის ბანაკებში, საიდანაც 1954 წლის მაისს გადაგზავნიან სამხრეთ კორეაში.

— იაფი კია ეს საზარბაზნე ხორცი, ჯონ, მაგრამ მაისამდე გაძლებს თუ არა, საკითხავი აი, ეს არის!